

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს  
ვლადიმერ ტატიშვილს

## რეკომენდაცია

### შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის მე-20<sup>1</sup> და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო ვლადიმერ,

2022 წლის 2 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N2673/22) მომართა ნ. ჯ.-მა, რომლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ც. ჯ. წარმოადგენს. განმცხადებლის განმარტებით, მას ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი ეთქვა ხელისუფლების მიმართ მომზადებული კრიტიკული სიუჟეტების გამო.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ხუთჯერ გამოითხოვა ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“-დან. ამასთანავე, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრი - გ. ქ. გამოკითხა.

#### 1. ფაქტობრივი გარემოებები

##### 1.1. განმცხადებლის პოზიცია

განმცხადებელი დასაქმებული იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში თბილისის ბიუროს რეპორტიორის თანამდებობაზე. თავდაპირველად შრომითი ურთიერთობის ვადად განისაზღვრა **2020 წლის 24 მარტიდან - 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი**. ამის შემდეგ, ხელშეკრულება კვლავ გაგრძელდა 12 თვით, **2021 წლის 1 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**. ამდენად, **ჯამში განმცხადებელმა 21 თვე იმუშავა**. განცხადების თანახმად, 2021 წლის 30 დეკემბერს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა გამოსცა N03-01/71 ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. განმცხადებლის განმარტებით, შრომითი ურთიერთობა შეწყდა მხოლოდ 3 თანამშრომელთან. ხაზგასასმელია, რომ ამავე ბრძანებით, 2021 წლის 30 დეკემბერის საკადრო ბაზების განვითარების სამსახურის უფროსის რეკომენდაციით (N02-

26/3222) მაუწყებლის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, გარკვეულ პირებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს ეწურებოდათ, შრომითი ურთიერთობა სეზონის ბოლომდე - 2022 წლის 31 ივლისამდე, დანარჩენებს კი - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელებოდათ.

განმცხადებლის მითითებით, მუშაობის ბოლო თვეებში, მიანიშნეს, რომ არ ჰქონოდა კრიტიკული ჩართვები და, პერიოდულად, პოლიტიკური მიმართულებიდან გამორიცხავდნენ 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი განუცხადეს, რომ პოლიტიკის მიმართულებით აღარ იმუშავებდა და ეკონომიკურ მიმართულებაზე გადაჰყავდათ, თუმცა, მიზეზი არ განუმარტავთ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მუშაობის ბოლო ერთი თვის განმავლობაში არ უშვებდნენ პარლამენტში. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა მის მიერ მომზადებული სიუჟეტები, რომლებიც, მისი თქმით, მისი შევიწროებისა და ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.<sup>1</sup> განმცხადებლის 2022 წლის 7 აპრილის დამატებით განცხადებაში მითითებულია ასევე კონკრეტული სიუჟეტები, რომელთა ეთერში გაშვების დღიდან განმცხადებელს უთხრეს, რომ არ მოსწონდათ მისი კრიტიკული სიუჟეტები, რამდენიმე დღეში კი, მოკვლევის საბაზით ეთერს ჩამოაშორეს.<sup>2</sup>

შესაბამისად, განმცხადებელი განმარტავს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი მისი განსხვავებული შეხედულებები და ხელისუფლების მიმართ მომზადებული კრიტიკული სიუჟეტები გახდა.

## 1.2. მოპასუხის პოზიცია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2022 წლის 28 მარტის პასუხში აღნიშნულია, რომ ნ. ჯ.-თან შრომითი ურთიერთობა შეწყდა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო; 2021 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, მაუწყებელში ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია 133 ადამიანი; აქედან 3 თანამშრომელს არ გაუგრძელდა სახელშეკრულებო ვადა; პასუხის თანახმად, შრომითი ურთიერთობის განმავლობაში, ნ. ჯ.-ს მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინარული პასუხისმგებლობა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> **შენიშვნა:** ერთი სიუჟეტი ეხებოდა თბილისის საკრებულოს მეშვიდე მოწვევის პირველ სხდომას, რომელშიც აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა საკრებულოში პოზიციები გადაინაწილეს. სიუჟეტში გაკრიტიკებულია მმართველი პარტია და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიერ აღნიშნული იყო, რომ ხელისუფლებას ავტორიტარული რეჟიმი სურს და არ აპირებენ ძალაუფლების განაწილებას. *მეორე სიუჟეტი* ეხება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ნატოში ინტეგრაცია არ სურს. სიუჟეტში საუბარი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის - დავით ზალკალიანის უმოქმედობაზე, მაშინ როდესაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები სერგი ლავროვის განცხადებას მიიჩნევდნენ როგორც თავდასხმას ქვეყნის სუვერენიტეტზე. *მესამე სიუჟეტი* შეეხებოდა მეხუთე პრეზიდენტის ინიციატივას, რითაც მას სურდა პოლიტიკოსების შერიგება და ეროვნული თანხმობის მიღწევა; აქცენტი იყო გაკეთებული იმაზე, რომ მესამე პრეზიდენტი პოლიტიკური პატიმარი არის. *ხოლო ბოლო სიუჟეტი* ეხება 2021 წლის სახალხო დამცველის ანგარიშს, რომლითაც გაკრიტიკებულია ხელისუფლების ქმედებები სხვადასხვა მიმართულებით

<sup>2</sup> <https://adjaratv.ge/article/72229>; <https://adjaratv.ge/article/72212>

<sup>3</sup> **შენიშვნა:** 2021 წლის 17 მაისს განმცხადებელს დირექტორის ბრძანების (N02-09/64) საფუძველზე მიეცა გაფრთხილება; ბრძანების თანახმად, 2021 წლის 12 აპრილს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მოხსენებითი ბარათით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ოპერატორმა მ. ქ.-ემ. მოხსენებითი ბარათით

მოპასუხის განმარტებით, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება, რომ ეკონომიკურ მიმართულებაზე გადაიყვანეს ან/და აუკრძალეს პარლამენტში მუშაობა, არ შეესაბამება სინამდვილეს და მაუწყებლის არქივში მის მიერ ეკონომიკასთან დაკავშირებულ თემაზე მომზადებული სიუჟეტი არ იძებნება; პასუხში ასევე აღნიშნულია, რომ თბილისის ბიუროში მუშაობს სამი ჯგუფი, შესაბამისად, დღის განმავლობაში, მათი გადანაწილება ხდება. ჯგუფებს მონაცვლეობით უწევთ როგორც აქციების, ასევე სხვადასხვა აქტუალური თემების გაშუქება და მაუწყებელს კონკრეტულად პარლამენტზე მიმავრებული ჯგუფი არ ჰყავს.

მოპასუხის 2022 წლის 20 მაისის წერილობითი კორესპონდენციაში კი აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების გაგრძელების ან/და გაუგრძელებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მაუწყებელი ხელმძღვანელობს ერთიანი სამართლებრივი ნორმებით, რომელიც ეხება მაუწყებელში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს. ნ. ჯ.-ის შემთხვევაში, ძირითადი ასპექტი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მაუწყებელი, იყო მისი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, ვინაიდან ხშირად ჰქონდა კონფლიქტი თანამშრომლებთან. პასუხის თანახმად, თანამშრომელი, რომელთანაც განმცხადებელს კონფლიქტი მოუვიდა, სამსახურიდან წავიდა. მაუწყებელში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც, როგორც თბილისის ბიუროს თანამშრომლები, ასევე რეგიონალური პროდიუსერები ხშირად აღნიშნავენ, რომ ნ. ჯ. არის კონფლიქტური ადამიანი და მასთან ერთად მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. მოპასუხის მითითებით, სწორედ მსგავსი ფაქტები გახდა მისი ეთერიდან დროებით ჩამოშორების და შემდგომში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. სწორედ იმის გამო, რომ ნ. ჯ.-თან არა ერთი კონფლიქტი ჰქონიათ თანამშრომლებს, მაუწყებელმა მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გაეგრძელებინა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, არა მარტო ნ. ჯ.-თან, არამედ თბილისის ბიუროს კიდევ 2 თანამშრომელთან, რომელთა სამსახურებრივი პოზიციებია - მძღოლი და ოპერატორი. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ შრომის კოდექსის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშვება მხარეთა თანასწორუფლიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ამავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. მოცემულ შემთხვევაში დამსაქმებელმა მიიღო გადაწყვეტილება ვადის გასვლის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობის შენარჩუნებით გარკვეული რისკები იქმნებოდა სხვა თანამშრომლებთან მიმართებაში, რაზეც არაერთი მოხსენებითი ბარათი დაიწერა.

მოპასუხის მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, ოპერატორი მ. ქ., 2021 წლის 9 აპრილის განცხადებით, მოითხოვს 30 აპრილიდან სამსახურიდან გათავისუფლებას 9 აპრილს მასსა და განმცხადებელს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო. ის განმარტავს, რომ 9 აპრილს,

---

ირკვევა, რომ 2021 წლის 09 აპრილს საჯარო სივრცეში ნ. ჯ.-მა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მ. ქ.-ს. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (ახალი ამბების სამსახურში თბილისის ბიუროს რეპორტიორის ნ. ჯ.-ს ქმედება (სიტყვიერი კონფლიქტი საკუთარ თანამშრომელთან), რომელიც მან განახორციელა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების დროს - წარმოადგენს დისციპლინარულ გადაცდომას და მან ზიანი მიაყენა მაუწყებელს

განმცხადებელმა საჯარო სივრცეში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც არ იყო პირველი შემთხვევა. *განმცხადებლის* 2021 წლის 12 აპრილის განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ 9 აპრილს იმყოფებოდა პარლამენტის შენობასთან, სადაც ოპერატორმა ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა და ვერ ჩაიწერა საქართველოს პრეზიდენტის სინქრონი; ოპერატორმა მას უთხრა: *მასალა არ მაცქს, ვერ ჩავწერე, რა ვენა ფეხებზე მკიდიაო*; განმცხადებელმა კი უთხრა: *რანაირად ახერხებ ყველა სინქრონის გამაზვას*; განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ მ. ქ.-ს სამსახურის დატოვება უფრო ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი და თავად განმცხადებელსაც ეუბნებოდა რომ არ მოსწონდა „ახალ ამბებში“ მუშაობა. *ახალი ამბების სამსახურის პროდესურის (რეგიონების) მ. მ.-ის* 2021 წლის 13 აპრილის ახსნა-განმარტებაში კი მითითებულია, რომ როდესაც განმცხადებელმა მუშაობა დაიწყო, აღნიშნავდნენ მის პროფესიონალურ დამოკიდებულებას ჩართვების თუ სხვა სახის მასალის მომზადებისას, თუმცა, მათი ურთიერთობა თანამშრომლობის ნაწილში გართულდა; კერძოდ, მასალის მომზადება სტრესულ გარემოში უწევდა, მისი მიმართვები სცილდებოდა კოლეგიალურ ფორმებს და გადადიოდა კატეგორიულ, ზოგჯერ კი დამტუქსავ ტონში და კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად რედაქტორს სთხოვა, განმცხადებელთან არ ემუშავა. საინფორმაციო გამოშვება „*მთავარი 20:00-ზე*“ *პროდუსერის ა. გ.-ის* 2021 წლის 14 აპრილის ახსნა-განმარტებაში კი აღნიშნულია, რომ განმცხადებელთან ურთიერთობა ნაკლებად უწევს, თუმცა, არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, განმცხადებელს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები; კერძოდ, გამოსდის მუშაობა „ლაივში“, თუმცა, ნაკლებად ეფექტურია „ოფლაივ“ რეჟიმში; დავალების მიცემისას, მუდმივად აწყდება წინააღმდეგობას; შესაბამისად, ძნელია მასზე დაყრდნობა, ჰქონიათ კამათი და ხმამაღალი საუბარი; ასევე მითითებულია, რომ განმცხადებელს უჭირს გუნდური მუშაობა და თანამშრომლებთან პარტნიორული ურთიერთობა.

2022 წლის 28 ივნისს მოპასუხემ ასევე წარმოადგინა მაუწყებლის თანამშრომლების, ზ. ს.-სა და ს. ს.-ის მოხსენებითი ბარათები ნ. ჯ.-სა და მ. ქ.-ს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ. ხსენებული პირები 2021 წლის 13 აპრილის წერილობით განმარტებებში აღნიშნავენ, რომ განმცხადებლისგან არასდროს მოუსმენიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ასევე უარყოფენ განმცხადებელთან კონფლიქტს.

ამასთან, მოპასუხემ წარმოადგინა, მაუწყებლის საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის რეკომენდაცია (#02-26/3222), რომელიც საფუძვლად დაედო მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის (#03-01/71) ბრძანების გამოცემას. რეკომენდაციაში მითითებულია კონკრეტული დასაქმებულები, რომელთა შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას გაეწია რეკომენდაცია. მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 38 პირს ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე, 91 პირს კი 2022 წლის 31 ივლისამდე;

მოპასუხის მითითებით, მაუწყებლის თბილისის ბიუროში 2021 წელს დასაქმებული პირებისგან დაკომპლექტებული იყო 4 ჯგუფი რომელიც შედგება ჟურნალისტის, ოპერატორისა და მძღოლისგან. *მაუწყებლის ფინანსური რესურსისა და არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, 2022 წელს შრომით ხელშეკრულება არ დაიდო/არ გაგრძელოდა ერთ ჯგუფთან.*

მაუწყებელმა სახალხო დამცველის აპარატს ასევე, მოაწოდა ახალი ამბების სამსახურის რედაქტორის ა. გ.-ს ახსნა-განმარტება. ა. გ.-ის 2022 წლის 3 აგვისტოს ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ განმცხადებელი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე აცხადებს, რომ მას სამთავრობო მხარე უჭირავს, მაშინ როდესაც მისი პროფესიული ცხოვრება მიუძღვნა მიუკერძოებლობას და მაღალ ჟურნალისტურ სტანდარტებს; განმცხადებლის დაწერილი მასალების რედაქტირებასთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ ეს არის მისი სამუშაო ხელშეკრულების სავალდებულო პირობა და მიუთითებს ახალი ამბების სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე;<sup>4</sup> ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ განმცხადებლის ტექსტები არცთუ იშვიათად იყო დაუბალანსებელი, ასევე განმცხადებელი ზოგჯერ უარს ამბობდა ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებაზე; ამასთან, მას დაუკავშირდა ერთ-ერთი საერთაშორისო მედიის წარმომადგენელი პრეტენზიით, რომელსაც შენიშვნის მიცემის გამო განმცხადებელმა უდიერად მიმართა.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრებს არ მიუწოდებიათ ნ. ჯ.-თან კომუნიკაციის (განცხადების ან მიმართვის ან/და სხვა) ამსახველი რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტაცია.<sup>5</sup>

### 1.3. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია

2022 წლის 7 აპრილს განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა დამატებითი წერილობითი პოზიცია, რომელშიც დისციპლინური პასუხისმგებლობის გაფრთხილების მისთვის გამოცხადებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ გაფრთხილების დაწერამდე მოკვლევის დაწყება კიდევ ერთი დასტურია, რომ განმცხადებლის ეთერიდან ჩამოშორება სურდათ. განმცხადებლის მითითებით, გაფრთხილების მიცემამდე საქმის გარემოებები არ გამოუკვლევიან სრულად, მხოლოდ ოპერატორი გამოკითხეს, რომელთანაც კამათი მოუვიდა განმცხადებელს, თავად განმცხადებლისთვის კი არ უკითხავთ, თუ რა მოხდა მასსა და ოპერატორს შორის. ამის მიუხედავად, განმცხადებელმა წერილობითი პოზიცია მაინც გაუგზავნა

<sup>4</sup> **შენიშვნა:** სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რედაქტორის მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამომიებო ჟანრის სატელევიზო და რადიოს პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისთვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით: *სარედაქციო საკითხების სწორი დაგეგმვა და განხორციელება; თემების გამოვლენა, ანალიზი, შერჩევა და შესაბამისი გადანაწილება რეპორტიორებს შორის; საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებაში რეპორტიორების მხარდაჭერა; გადანაწილებული თემების შესაბამის სატელევიზო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვის ზედამხედველობა; ყველა ტექსტის შემოწმება; სცენარის შექმნა, სცენარის შექმნისა და განვითარების საჭიროების გამოვლენა; სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადების მეთვალყურეობა; რესპონდენტების შერჩევაში მონაწილეობა; შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა, პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია; ობიექტურობის, დაბალანსებულებისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა; შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროების გამოვლენა; სამსახურის უფროსის მითითებების შესრულება*

<sup>5</sup> **შენიშვნა:** 2022 წლის 28 ივლისს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს წევრებს 2 დღის ვადაში კობრეიმემ მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს წევრებს 2 დღის ვადაში ეცნობებინა ნ. ჯ.-ს მაუწყებელთან შრომითი ურთიერთობის პერიოდში მიუმართავს თუ არა მრჩეველთა საბჭოსთვის წერილობითი ფორმით მაუწყებლის მიერ მისთვის შრომითი უფლება-მოვალეობების განხორციელებაში ხელშეშლის/დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველით

მაუწყებელს მომხდართან დაკავშირებით. ამას ისიც ემატება, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ამ საკითხზე, განმცხადებელი 1 თვის განმავლობაში, ეთერიდან ჩამოშორების გამო, ვერ მუშაობდა.

2022 წლის 31 მაისის დამატებით პოზიციაში განმცხადებელმა მის კონფლიქტურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან მითითებული ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს, ყველა მოხსენებითი ბარათი დაწერილია იმ ადამიანების მიერ, ვინც ვ. ხ.-თან (მაუწყებლის დირექტორის მოადგილე) დაახლოებული პირია და ცდილობენ მაუწყებლის ქმედებები გაამართლონ. განმცხადებლის განმარტებით, ა. გ. მთავარი გამოშვების პროდიუსერი იყო, რომელსაც სამთავრობო მხარე ეჭირა და სწორედ ის უცვლიდა სიუჟეტებს ტექსტებს მთავრობის სასარგებლოდ. შესაბამისად, მისი მოხსენებითი ბარათი არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რადგან თავად ახორციელებდა ცენზურას. განმცხადებლის მითითებით, მოხსენებითი ბარათების დაწერამდე რამდენიმე დღით ადრე მან ა. გ.-სგან მკაფიო მინიშნებები მიიღო, რომ კრიტიკული ჩართვები აღარ ჰქონოდა, რაზეც გ.-ს უპასუხა, რომ არ აპირებდა ცენზურის მიღებას. სწორედ ამის შემდგომ, რამდენიმე დღეში დაიწერა მცდარი მოხსენებითი ბარათები. ასევე, მოკვლევის საბუთებიდან გამქრალია თბილისის ბიუროს თანამშრომლების მიმართვები დირექტორისადმი, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თუ მიზეზად ხელშეკრულების ვადის გასვლას უთითებენ, მაშინ გაუგებარია, რა კავშირშია მისი კონფლიქტურობა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმასთან. განმცხადებლის მითითებით, თუ ისე იქცეოდა, როგორც მოპასუხე მიუთითებს, მაშინ გაურკვეველია, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი რატომ არ გამოიყენეს მაშინ, როდესაც მოკვლევა 2021 წლის აპრილსა და მაისში მიმდინარეობდა.

სამსახურებრივი პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ მიერ მითითებული ფაქტი, რომ ის ეკონომიკურ მიმართულებაზე არ გადაუყვანიათ და მის მიერ მომზადებული ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებული სიუჟეტი არ იძებნება, არ შეესაბამება სინამდვილეს. მას მომზადებული აქვს მინიმუმ 4-5 ეკონომიკური მიმართულების სიუჟეტი მაინც, ხოლო ის, რომ მის მიერ მომზადებული სიუჟეტები არ იძებნება, მიუთითებს არა იმაზე, რომ სიუჟეტები არ მოუმზადებია, არამედ იმაზე, რომ მის მიერ მომზადებული სიუჟეტები წაშალეს ან უბრალოდ მცდარ ინფორმაციას ავრცელებენ.<sup>6</sup> განმცხადებელმა წარმოადგინა მის მიერ მომზადებული ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებული სიუჟეტების ბმულებიც.<sup>7</sup>

2022 წლის 2 მაისს განმცხადებელმა წარმოადგინა დამატებითი განცხადება, რომელშიც მითითებულია „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების“ მიერ გამოქვეყნებული ორი ბმული, რაც ადასტურებს, რომ კრიტიკული

<sup>6</sup> შენიშვნა: განმცხადებლის მითითებით, სიუჟეტების ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://adjaratv.ge/author/94?page=15>  
<sup>7</sup> ობ. <https://cutt.ly/cMiltkA> <https://cutt.ly/fMilau8> <https://cutt.ly/XMilWak> <https://cutt.ly/OMilOyn>



მოსაზრებების გამო არ გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება და ამ გადაწყვეტილების მიღებამდეც ხელს უშლიდნენ კრიტიკული ჩართვების მომზადებაში: „30.12.2021 ბრძანების საფუძველზე, თბილისის ბიუროში დასაქმებულ 3 თანამშრომელს, კონტრაქტის ვადის ამოწურვის საბაზით, აღარ გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობა. კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ მათ წლის მიწურულს შეიტყვეს და მანამდე, არცერთი პირი არ ყოფილა ინფორმირებული ამის შესახებ. აღნიშნულ სამ თანამშრომელს შორისაა - რეპორტიორი ნ. ჯ. ნ.-ს კონტრაქტის შეწყვეტამდე რამდენიმე თვით ადრე ჰქონდა „ალტერნატიულ პროფესიულ გაერთიანებასთან“ კომუნიკაცია, სადაც მან ისაუბრა იმაზე, რომ სხვადასხვა დროს, კრიტიკული ჩართვების გამო ის რამდენჯერმე მოხსნეს ეთერიდან და არ მისცეს საკუთარი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა. კრიტიკული დამოკიდებულების გამო [ნ. ჯ.-ის მსგავსად], აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში გასული ორი წლის განმავლობაშიც არაერთი გადაწყვეტილება მიღებულა როგორც ჟურნალისტების, ისე - რედაქტორების, პროდიუსერებისა და სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების მიმართ. ამ ეტაპისთვის, მაუწყებლის წინააღმდეგ სასამართლოში 10-მდე დავა მიმდინარეობს. არასასურველი/კრიტიკული თანამშრომლების გასათავისუფლებლად, კონტრაქტის ვადის ამოწურვას - როგორც საბაზის გამოყენებას, მენეჯმენტმა რამდენჯერმე მიმართა. პირველ შემთხვევაში ამგვარი პრაქტიკა ნ. შ.-ს, ხოლო მომდევნო შემთხვევებში - გ. ა.-სა და ნ. ქ.-ის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. სამივე მათგანი ახალი მენეჯმენტის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.“<sup>8</sup>

2022 წლის 4 მაისს განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ 2022 წლის 2 მაისს გამოქვეყნებული განცხადება რომ დღემდე გრძელდება კრიტიკული მოსაზრებების გამო თანამშრომელთა დევნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“.<sup>9</sup>

<sup>8</sup>იხ. 2022 წლის 4 იანვრის „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების“ ფეისბუქ პოსტი: [https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=455168916051696&id=101377848097473](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=455168916051696&id=101377848097473); 2022 წლის 29 აპრილის „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების“ ფეისბუქ პოსტი [https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=525328115702442&id=101377848097473](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=525328115702442&id=101377848097473) „მიმდინარე წლის 28 აპრილს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორმა - გიორგი კობხიძემ, სამსახურიდან გაათავისუფლა შემოქმედებითი სამსახურის გადაცემა „უცხო სუნელი“-ს ავტორი/წამყვანი - ალექსანდრე თბილაიშვილი. გათავისუფლების ოფიციალური მიზეზები და თანმდევი პროცესები, ჩვენი მხრიდან ფასდება „ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების წევრთა“ პიროვნული დევნის გაგრძელებად და „იურიდიული საბაზების“ ძიებად ამის განხორციელებისთვის. სამართალიც და სამართლებრივი რეაგირებაც. დღეს...აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ - შერჩევითაა. დღიდან დირექტორად არჩევისა, გიორგი კობხიძის მართვის სტილი აბსოლუტურად დაცლილია ჯანსაღი შრომითი გარემოს შექმნის პრინციპებისგან და მიმართულია მაუწყებლის თანამშრომელთა შორის დაპირისპირების, კონფლიქტისა და მტრობის გავლივებისკენ. გიორგი კობხიძე მაქსიმალურად ახალისებს ამგვარი დაძაბულობის კერების შექმნას და ნაცვლად პრევენცია-მოგვარებისა, ძალადობრივი, სადამსჯელო ზომებით შემოიფარგლება. ორგანიზაცია იმართება პერსონალურ განწყობებზე დაყრდნობით. დევნისა და შევიწროვების სამიზნეა კრიტიკულად განწყობილი ყველა თანამშრომელი. უკიდურესადაა გაზრდილი შრომითი უთანასწორობა. მაუწყებლის მენეჯმენტი არათუ ხელს არ უწყობს მაუწყებლის განვითარებას, არამედ პირიქით - ანადგურებს ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების ყველა შესაძლებლობას“

<sup>9</sup> <https://www.qartia.ge/siakhleebi/article/91804-atcaris-sazogadoebriv-mautsyebelshi-zhurnalistebis-devna-grdzeldeba> „ქარტია დაუშვებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მენეჯმენტის მიერ ისეთი საკადრო პოლიტიკის გაგრძელებას, რომელიც სამსახურიდან დევნის პროფესიონალ კადრებს და ანგრევს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპებს. 2022

#### 1.4. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრის - გ. ქ.-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

გ. ქ.-ის განმარტებით, იგი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრია და მაუწყებლიდან უკანონოდ გათავისუფლებული სხვადასხვა თანამშრომლის საქმეებში არის ჩართული, კერძოდ, ეცნობა დოკუმენტაციას და პირადი კომუნიკაცია აქვს გათავისუფლებულ თანამშრომლებთან და, რამდენადაც შესაძლებელია, საბჭოს სხდომებზე და ცალკეულ შემთხვევაში საჯაროდაც, მათ შორის, სოციალურ ქსელშიც აჟღერებს აღნიშნულის თაობაზე. მისი თქმით, განმცხადებელმა დახმარება სთხოვა. განმცხადებელთან პირველი კომუნიკაცია ჰქონდათ 2021 წლის აპრილში, რომელიც შეეხებოდა მის წინააღმდეგ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებას. ქ.-ის განმარტებით, მან მაუწყებლისგან გამოითხოვა ინფორმაცია და მასალების გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, რომ მაუწყებელი გარკვეულ გარემოებებს მალავდა. კერძოდ, მას მიაწოდეს ისეთი მასალები, რომლებიც განმცხადებლის წინააღმდეგ გამოიყენებოდა და არ მიაწოდეს იმ პირთა გამოკითხვის ოქმები, რომლებიც განმცხადებელს ამართლებდნენ.

მან ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის 19 ნოემბერს, განმცხადებელი, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე აქციაზე იმყოფებოდა, ხოლო საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი არ აძლევდა მას აქციის მონაწილეების ჩაწერის საშუალებას და აქციის გასაშუქებლად თბილისის გარეთ მყოფ ჯგუფს აგზავნიდა; განმცხადებელს სთხოვდნენ სხვა თემის გაშუქებას, რაც არ იყო პრიორიტეტული; ნ. ჯ. დაუკავშირდა გ. ქ.-ს და ამ საკითხში დახმარება სთხოვა. თავის მხრივ, გ. ქ., 19 ნოემბერს, მაუწყებლის დირექტორს შეხვდა, სადაც ასევე იმყოფებოდა მრჩეველთა საბჭოს სხვა წევრიც (თ. დ.); გ. ქ.-მ დირექტორს უთხრა, არ დაეჩაგრათ განმცხადებელი, ვინაიდან ახალგაზრდა და პროფესიონალი კადრი იყო. დირექტორმა გ. ქ.-ეს ჰკითხა, *თუ იცოდა საქართველოში ავტორიტეტული არასამთავრობოების არსებობის შესახებ*. მისი აღნიშვნით, ნოემბერში განმცხადებელს ჩართვა ჰქონდა, რომელშიც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციებად მოიხსენია. დირექტორის თქმით, *ამომრჩეველთა 2%-იც კი არ მისცემს ხმას ხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და როგორ შეიძლება ისინი იყვნენ ავტორიტეტულები*. განმცხადებელთან დაკავშირებით კი, მაუწყებლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი განმცხადებელს მის უშუალო ხელმძღვანელთან უნდა გაერკვია. გ. ქ.-ს

---

*წლის 2 მაისს ცნობილი გახდა, რომ აჭარის ტელევიზიის და რადიოს თანამშრომლის, მ. მ.-ის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება, ვინაიდან ბიულეტენზე ყოფნის დროს ესწრებოდა საკუთარ სასამართლო პროცესს. ამასთან, 2022 წლის 28 აპრილს ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ დისციპლინური ღონისძიების უმაღლესი ზომა, სამსახურიდან გათავისუფლება გამოიყენა გადაცემა „უცხო სუნელი“ წამყვანის, ა. თ.-ს მიმართ. ქარტია მიიჩნევს, რომ მენეჯმენტის მიერ მიღებული ზომები არაადეკვატურია და არ შეიძლება დარჩეს სათანადო ყურადღების გარეშე. აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესები უკიდურესად შემაშფოთებელია. ალტერნატიული პროფკავშირების წევრების მიმართ მენეჯმენტის მიერ მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები ემსახურება განსხვავებული შეხედულებების დევნას“*



განმარტებით, დირექტორთან ამ კომუნიკაციამ დაარწმუნა, რომ, განმცხადებელს, წლის ბოლოს სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ.

გ. ქ.-ემ აღნიშნა, რომ განმცხადებელი მას ეუბნებოდა, რომ პოლიტიკური ჩართულობისას, ან მის თემიდან ჩამოშორებას ცდილობდნენ ან ჩართვას უფუჭებდნენ (ოპერატორი უფუჭებდა ჩართვას ან ის ტექსტი არ გადიოდა საეთეროში, რომელსაც განმცხადებელი ჩართვამდე აგზავნიდა). მან ასევე სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, ზოგად კონტექსტში, რამდენჯერმე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ თანამშრომლები, რომლებიც იყვნენ კრიტიკულები, მაუწყებელში აღარ მუშაობდნენ. ამის საპასუხოდ, 2022 წლის მაისის მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დირექტორმა აღნიშნა: „ხო ხედავთ სად მუშაობს დღეს ნ. ჯ.“ (განმცხადებელი მუშაობს „მთავარ არხზე“), რითაც მიანიშნა, რომ განმცხადებელი მაუწყებლისთვის შესაფერისი არ იყო.

სახალხო დამცველის აპარატმა მოპასუხეს მიაწოდა გ. ქ.-სთან გასაუბრების ოქმი და სთხოვა მოწმის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოდგენა. მოპასუხის 2022 წლის 4 აგვისტოს პასუხში აღნიშნულია, რომ მოწმე, გ. ქ.-ის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა მის ვარაუდებსა და სუბიექტურ შეფასებებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2022 წლის 29 ივლისს, გ. ქ.-ემ სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა ინფორმაცია<sup>10</sup>, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორმა - გიორგი კობრიძემ მიმართა მრჩეველთა საბჭოს წევრებს, მიუმართავს თუ არა განმცხადებელს მრჩეველთა საბჭოსთვის, მაუწყებლის მიერ მისთვის შრომითი უფლება-მოვალეობების განხორციელებაში ხელშეშლის/დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხზე<sup>11</sup>, რაზეც მან დირექტორს 2002 წლის 29 ივლისს წარუდგინა თავისი წერილობითი მოსაზრება, რომ განმცხადებელმა მას მიმართა და აცნობა მის წინააღმდეგ მაუწყებლის ადმინისტრაციის მხრიდან ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის თაობაზე და მხარდაჭერა სთხოვა.

აღნიშნული ინფორმაცია მოპასუხეს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ მოუწოდებია და მიუთითა, რომ მსგავსი მიმართვა მრჩეველთა საბჭოს წევრების მხრიდან არ მიუღია.

## 2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოში თანასწორობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით და საერთაშორისო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის

<sup>10</sup> სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 22 აგვისტოს ოქმი N4207-22

<sup>11</sup> **იხ.** სქოლიო 5

თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.<sup>12</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ემლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და *არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.<sup>13</sup>

## 2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს უარი ეთქვა შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე, შესაბამისად, სახალხო დამცველი

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1

<sup>13</sup> ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, §60

შეაფასებს მოხდა თუ არა განმცხადებლის შრომის უფლებაში ჩარევა ხელისუფლების მიმართ მომზადებული კრიტიკული სიუჟეტების გამო.

### შრომის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება<sup>14</sup> სოციალური სახელმწიფოს პრინციპის<sup>15</sup> რეალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტია,<sup>16</sup> რომელიც, მათ შორის, იცავს უფლებას, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისგან და ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.<sup>17</sup>

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტით,<sup>18</sup> რომელთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი მოწესრიგება ასახულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. კერძოდ, პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.<sup>19</sup> დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები დასაქმებულთა უკანონო გათავისუფლებისგან დასაცავად.<sup>20</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით შრომის და შრომის ხელმისაწვდომობის უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა, ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პროფესიული და კომერციული აქტივობების განხორციელების უფლებასაც. „ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების „შიდა წრით“ შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა, ასევე, უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამასთან, არანაირი პრინციპული მიზეზი არ არსებობს, რომ „პირადი ცხოვრებიდან“ გამორიცხოს პროფესიული თუ კომერციული აქტივობები. ადამიანთა უმრავლესობას გარე

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26

<sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5

<sup>16</sup> „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „მწვანე ალტერნატივა“, პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, თბილისი, 2015, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3tRR2Kr> > [28.09.2022]

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება II.3.19

<sup>18</sup> მათ შორის, იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენცია დასაქმების შეწყვეტის შესახებ

<sup>19</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1

<sup>20</sup> გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2xjkoXB>

სამყაროსთან ურთიერთობის გამყარების მაქსიმალური შესაძლებლობა, სწორედ, მუშაობის დროს აქვს“.<sup>21</sup>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „შრომისა და დასაქმების სფეროში“ N111 კონვენციის თანახმად, შრომით ურთიერთობაში დაუშვებელია რაიმე ნიშნით განსხვავება.<sup>22</sup> ამასთან, კონვენციის თანახმად, ტერმინები „შრომა“ და „საქმიანობა“ მოიცავს პროფესიული სწავლების, **შრომის და სხვადასხვა საქმიანობის ხელმისაწვდომობას**, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი **ორგანიზაციის ყოველი წევრი**, რომლისთვისაც წინამდებარე კონვენცია ძალაშია, **იღებს ვალდებულებას**, განსაზღვროს და გაატაროს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი *მეთოდებით წაახალისოს შრომისა და საქმიანობის შესაძლებლობების ან მათდამი მოპყრობის თანასწორობა მათ მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით*.

დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსიც“, რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა** ან მისთვის უპირატესობის მინიჭება სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, *რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას*.

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე, მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე.<sup>23</sup>

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს აღარ გაუგრძელდა ხელშეკრულების ვადა და ამ მიზეზით გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან. ამდენად, უფლება, რომლით სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს, დაკავშირებულია სამუშაოს სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს განხორციელების უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელზეც, განსახილველ შემთხვევაში, უარი ეთქვა განმცხადებელს.

### **განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი**

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან.

<sup>21</sup> ECtHR, Niemietz v. Germany, application no. 13710/88, 16/12/1992, § 29

<sup>22</sup> საქართველომ მითითებული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1997 წელს

<sup>23</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი

განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი არ აქვს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, მათ შორისაა სხვა შეხედულება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად.

### **ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებების გამომხატველია მაგალითად**

**შემდეგი ფრაზები:** „ქართულმა ოცნებამ სულ ცოტა ხნის წინ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და თბილისის საკრებულოს საკვანძო პოზიციებზე მმართველი პარტიის წევრები დაამტკიცა... ისინი ამბობენ, რომ ნუგზარ ფუტყარაძის გარდაცვალებაში დამნაშავე სწორედ ხელისუფლებაა, მათი თქმით, სწორედ ქართული ოცნების ზეწოლის, მუქარის და შანტაჟის შედეგია ის რომ ნუგზარ ფუტყარაძე დღეს ცოცხალი აღარაა; ოპოზიციის თქმით, ყველანაირ დემოკრატიულ სტანდარტს აცილებული არის ქართული ოცნების ქმედებები“. „რუსეთი ფედერაცია მორიგ ჯერზე ემუქრება საქართველოს და დეზინფორმაციას ავრცელებს თითქოს ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ სურს ნატოში ინტეგრირება, თუმცა, ამ დრომდე ამასთან დაკავშირებით საჯარო რეაგირება არ მოუხდენია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ამ დრომდე ოფიციალური განცხადება არ გაუვრცელებია ქვეყნის პირველ დიპლომატს დავით ზალკალიანს, ამიტომ ჩვენ ვკითხვთ ქართული ოცნების წევრებს თუ რას უკავშირდება საგარეო საქმეთა მინისტრის დუმილი; ოპოზიციაში პირდაპირ ამბობენ რომ ქართული ოცნება ყოველთვის დუმს, როდესაც ოკუპანტი ქვეყანა მსგავს ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებს“. „ხატია დეკანოიძე ამბობს, რომ პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულების გარეშე ვერ მოხერხდება ვერანაირი შერიგება... ასევე ნაციონალური მოძრაობის ლიდერის თქმით, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც პოლიტიკური პატიმარი არის და მესამე პრეზიდენტი, რომელიც დღეს ციხეში ზის უნდა იყოს გათავისუფლებული, რადგან პოლიტიკური დევნის შეწყვეტის გარეშე წარმოუდგენელი არის ამ ვითარების განმუხტვა“. „ნინო ლომჯარას მიერ გასაჯაროებული უმძიმესი დასკვნა მოიცავს ყველა იმ საკითხს და მიმართულებას, სადაც ირღვეოდა ადამიანის უფლებები და სადაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. ნინო ლომჯარია აცხადებს, რომ პანდემიის დროს საქართველოს ხელისუფლება მოქმედებდა პარტიული და არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და იღებდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა შეზღუდვის დაწესებასთან დაკავშირებით; ნინო ლომჯარია ამბობს, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ წარმართა სათანადოდ საინფორმაციო კამპანია იმისათვის, რომ უკეთესი ყოფილიყო ვაქცინაციის პროცესი, გარდა ამისა ის ამბობს, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებდა ექიმების და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების რეკომენდაციებს...ნინო ლომჯარია ამბობს, რომ მიმდინარეობს შეტევა ჟურნალისტებზე, მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება; ასევე ის პოსტ საარჩევნო პერიოდსაც აფასებს და ამბობს რომ ...ხორციელდებოდა ოპონენტებზე ზეწოლა, შანტაჟი, მუქარა და ეს პროცესი ისევ გრძელდება და საკმაოდ მძლავრად არის გაკრიტიკებული ქართული ოცნება ნინო ლომჯარას მიერ. ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ვერ ისარგებლა მიხელ სააკაშვილმა... ლომჯარია ამბობს, რომ ტოტალური მოსმენები ქვეყანაში გრძელდება“.<sup>24</sup>

განმცხადებლის პირდაპირი ჩართვები სახალხო დამცველს უქმნის განცდას, რომ ნ. ჯ.-ს ნამდვილად აქვს კრიტიკული და არასახელისუფლო რიტორიკის შემცველი სიუჟეტები, რაც გახდა მის მიმართ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი.

განხილვის შემდეგ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შეაფასებს შესაძარბელი პირების არსებობის საკითხს, უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანს და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერებას.

## **2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა**

<sup>24</sup> შენიშვნა: იხ. პირველი სქოლიო

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.<sup>25</sup>

განმცხადებელი 21 თვის განმავლობაში მუშაობდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში თბილისის ბიუროს რეპორტიორის თანამდებობაზე. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი არახელსაყრელ პირობებში იმყოფება, ერთი მხრივ, ყველა იმ პირთან მიმართებით, ვისაც, განმცხადებლის მსგავსად, გაუფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება და არ მოხდა მათთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ვადის გასვლის გამო, მეორე მხრივ კი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“, დასაქმებულ ყველა იმ პირთან მიმართებით, ვინც ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს ხელისუფლების მიმართ.

### **2.3. ლეგიტიმური მიზანი და არათანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობა**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმხორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხეზე. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს,

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II,19

რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე მხარეზე გადავიდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა და დაეკისრა ვალდებულება, წარმოედგინა ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნება განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

მოპასუხე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა - შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. ამდენად, შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარისა და განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ **ლეგიტიმურ მიზნად ხელშეკრულების ვადის გასვლა დასახელდა. გარდა ამისა, მოპასუხე მიუთითებს განმცხადებლის კონფლიქტურობაზე, რაც საფრთხეს უქმნიდა საინფორმაციო სამსახურის გამართულ მუშაობას; მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების მხოლოდ ერთ ჯგუფთან არ გაგრძელების მიზეზი მაუწყებლის ფინანსური რესურსი და არსებული საჭიროებები იყო.**

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით უზრუნველყოფილი შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები ასახულია საქართველოს შრომის კოდექსში, რომელიც, მათ შორის, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და შესაბამისად, ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძვლებსა და წესს ადგენს.

კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი გაწერილია საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლით, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესუალურ მხარეს არეგულირებს ამავე კოდექსის 48-ე მუხლი. აღნიშნული მუხლების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, დამსაქმებლის პოზიტიური ვალდებულებაა, დაასრულოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა მხოლოდ კანონიერი გზებით, ხოლო ნეგატიური ვალდებულება წარმოადგენს იმას, რომ დამსაქმებელს არ უნდა შეეძლოს დასაქმებულის სამსახურიდან გაშვება სათანადო და გამართლებული საფუძვლის გარეშე. ამიტომ იმ რეგულაციებს, რომლებიც ზემოხსენებულ მუხლებშია მოცემული, აქვთ ერთგვარი „შემაკავებელი ეფექტი“ თვითნებური, გაუმართლებელი გადაწყვეტილებების აღსაკვეთად.<sup>26</sup>

საქართველოს შრომის კოდექსით მხარისთვის მინიჭებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არის შეუზღუდავი<sup>27</sup> და არ შეიძლება მისი გაგება, როგორც დამსაქმებლის ცალმხრივი უფლება, შესაბამისი წესის დაუცველად ან/და უსაფუძვლოდ გაათავისუფლოს

<sup>26</sup> იხ. მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №ას-193-2020 განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 21 სექტემბრის №ას-536-2021 განჩინება

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის №ას-1199-1141-2014 გადაწყვეტილება



დასაქმებული. ნორმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია წაახალისებდა დამსაქმებლის თვითნებობას, ხოლო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას აზრს დაუკარგავდა.<sup>28</sup>

დისკრიმინაციული მოპყრობა ხშირ შემთხვევაში სწორედ სამუშაო ადგილიდან გათავისუფლებაში გამოიხატება.<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსით დამსაქმებლისათვის მინიჭებული უფლების გამოყენების გზით, ისეთი კონსტიტუციური პრინციპის დარღვევა, როგორც არის შრომით ურთიერთობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა, უნდა გამოირიცხოს. პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას, აუცილებლად უნდა შემოწმდეს, აღნიშნულს საფუძვლად ხომ არ დაედო დისკრიმინაციულად მიჩნეული რომელიმე საფუძველი, ამასთან, მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, რომ მისი გადაწყვეტილება იყო მართლზომიერი და არადისკრიმინაციული.<sup>30</sup>

შესაბამისად, შრომითსამართლებრივ დავებში, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს დამსაქმებლის მიერ საკუთარი უფლების ბოროტად გამოყენება<sup>31</sup> და შეფასდეს, რამდენად მართლზომიერად მიიღო მან გადაწყვეტილება.<sup>32</sup> თავის მხრივ, იმის დასადგენად, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებს დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას, მოკვლეულ უნდა იქნეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი.<sup>33</sup>

მოპასუხე განმცხადებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად შრომის კოდექსის 47-ე მუხლის „ბ“ პუნქტს - ხელშეკრულების ვადის გასვლას მიუთითებს; **სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი არ უნდა განიმარტოს ვიწროდ, ვინაიდან ხელშეკრულების ვადის გასვლა თავისთავად არ გულისხმობს დამსაქმებლის მხრიდან კანონის ფარგლებში მოქმედებას და შესაბამისად, არ გამოირიცხავს დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულებების გამო.**

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დისკრიმინაციული მოტივები, როგორც წესი, ზედაპირზე არ არის. შესაბამისად, დისკრიმინაციული საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც წესი, ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერი საფუძველითაა შეფუთული. სასამართლომ განმარტა, რომ დამსაქმებლის ნება, პირთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, მართალია, ხელშეკრულების მოშლისათვის საკმარისია, მაგრამ აღნიშნულის გაგება არ შეიძლება ისე, რომ დამსაქმებლის ეს უფლება შეუზღუდავია. ამგვარი ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით, ანუ

<sup>28</sup> იქვე

<sup>29</sup> General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization, 2008, §784, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed\\_norm/@relconf/documents/meetingdocument/wcms\\_174846.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@relconf/documents/meetingdocument/wcms_174846.pdf)

<sup>30</sup> საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება №28/4238-13 4.1 და 4.5

<sup>31</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის №ას-1350-2019 განჩინება

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 21 სექტემბრის №ას-536-2021 განჩინება

დამსაქმებლის უფლება, თავისუფალი კონკურენციისა და სამეწარმეო ურთიერთობის ფარგლებში აირჩიოს დასაქმებული, ბოროტად არ უნდა გამოიყენებოდეს. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს შრომის კოდექსით დამსაქმებლისათვის მინიჭებული უფლების გამოყენების გზით ისეთი კონსტიტუციური პრინციპების დარღვევა, როგორებიცაა: შრომით ურთიერთობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა.<sup>34</sup>

საქმის მასალების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით, იყო მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დაფარვის სამართლებრივი საშუალება და არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შეწყდა ურთიერთობა, არ აქარწყლებს დისკრიმინაციის არსებობის ვარაუდს. განსაკუთრებით კი, სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრძანება (03-01/71), რომლითაც განმცხადებელთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა გამოცემულია 2021 წლის 30 დეკემბერს; ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იმავე დღეს ტელევიზიის საკადრო ბაზების განვითარების სამსახურის უფროსმა რეკომენდაციით მიმართა დირექტორს თანამშრომლებისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. რეკომენდაციაში არაფერია ნათქვამი რატომ არ გაუგრძელდა განმცხადებელს ხელშეკრულების ვადა, პირიქით, რეკომენდაცია მიემართება ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას 31 ივლისამდე ან/და 31 დეკემბრამდე; მაუწყებელი არ დაინტერესებულა რატომ ვერ მოხვდა ხსენებულ რეკომენდაციაში განმცხადებელი და დაუყოვლებლივ, იმავე დღესვე, გამოსცა ბრძანება განმცხადებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. სახალხო დამცველისთვის გაურკვეველია, რატომ ვერ მოხვდა რეკომენდაციაში თბილისის ბიუროს მხოლოდ ერთი ჯგუფი, მაშინ როდესაც თბილისში არსებულ სამ ჯგუფთან მიმართებით მსგავსი გადაწყვეტილება არ მიღებულა. მხოლოდ განმცხადებლისთვის, ოპერატორისა და მძღოლისთვის ხელშეკრულების შეწყვეტა თავისთავად წარმოშობს არათანაბარი მოპყრობის ეჭვებს, მაშინ როდესაც მაუწყებლის ძირითადი ტენდენციით ყველა დასაქმებულთან (133 ადამიანიდან სამი პირის გარდა) გაგრძელდა შრომითი ურთიერთობის ვადა. აღნიშნული გარემოებები ეჭვქვეშ აყენებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ ლეგიტიმურ მიზანს.

საქმის შეფასებისას სახალხო დამცველი ასევე ეყრდნობა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრის - გ. ქ.-ის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს, რომ განმცხადებელმა დახმარება პირველად 2021 წლის აპრილში სთხოვა; მოგვიანებით 2021 წლის 19 ნოემბერს კი შეატყობინა, რომ არ ეძლეოდა აქციის გაშუქების საშუალება; გ. ქ.-ის განმარტებით ის შეხვდა მაუწყებლის დირექტორს, რომელმაც მას უთხრა, რომ განმცხადებელმა არასამთავრობო ორგანიზაციები ავტორიტეტულ ორგანიზაციებად მოიხსენია. სახალხო დამცველს არ აქვს საფუძველი ეჭვი შეიტანოს მოწმის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს არ უარყვია გ. ქ.-სთან მსგავსი შინაარსის

<sup>34</sup> საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, 2017 წელი, გვ. 250

შესაძლო კომუნიკაცია (მოპასუხეს გაეგზავნა გასაუბრების ოქმი) და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი განმარტებით, რომ გ. ქ.-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა მის ვარაუდებსა და სუბიექტურ შეფასებებს; სახალხო დამცველს მაუწყებლის დირექტორსა და მრჩეველთა საბჭოს წევრს შორის კომუნიკაცია აფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში განმცხადებელი მის მიერ გამოხატული მოსაზრებების გამო არასასურველ პირად აღიქმებოდა;

გარდა ამისა, განმცხადებლის დისკრიმინაციაზე მიუთითებს „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული პროფესიული გაერთიანების“ 4 იანვრის ფეისბუქ პოსტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ნ.-ს კონტრაქტის შეწყვეტამდე რამდენიმე თვით ადრე ჰქონდა „ალტერნატიულ პროფესიულ გაერთიანებასთან“ კომუნიკაცია, სადაც მან ისაუბრა იმაზე, რომ სხვადასხვა დროს, კრიტიკული ჩართვების გამო ის რამდენჯერმე მოხსნეს ეთერიდან და არ მისცეს საკუთარი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა“.<sup>35</sup>

აღნიშნული განმარტებები მიუთითებს, რომ განმცხადებელი მისი შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე ესაუბრებოდა როგორც მრჩეველთა საბჭოს წევრს გ. ქ.-ს, ასევე, „ალტერნატიულ პროფესიულ გაერთიანებას“.

რაც შეეხება მოპასუხის არგუმენტს განმცხადებლის კონფლიქტურობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მაუწყებლის მიერ წარმოდგენილ განმარტებას, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი თუ განმცხადებლის კონფლიქტური ხასიათი გახდა შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის საფუძველი, აღნიშნულ ლეგიტიმური მიზანს ვერ ექნება გამართლება, რადგან განმცხადებელი თითქმის ორი წელი მუშაობდა და მასთან ხელშეკრულების ვადის გაგრძელება პერიოდულად ხდებოდა, ამასთან, საქმეში ფიქსირდება სხვა თანამშრომლების ახსნა-განმარტებები, რომლებიც განმცხადებელთან კონფლიქტურ დამოკიდებულებას უარყოფენ; საგულისხმოა ისიც, რომ მოპასუხემ თავდაპირველად გამოგზავნა მხოლოდ იმ თანამშრომლების ახსნა-განმარტებები, რომლებიც განმცხადებლის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებს ამჟღავნებდნენ და სახალხო დამცველის მხრიდან დამატებითი მიმართვა გახდა საჭირო, რომ მიგველო იმ თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები, რომლებიც მაუწყებლისგან განსხვავებულ/საწინააღმდეგო პოზიციებს აფიქსირებენ განმცხადებლის კონფლიქტური ხასიათის შესახებ.

სახალხო დამცველი ყურადღებას ასევე ამახვილებს ბოლო წლებში „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ არსებულ პრობლემურ გარემოზე. სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა დროს შესწავლილმა საქმეებმა კიდევ უფრო გაამწვავა ეჭვები მაუწყებელში დასაქმებული პირების შრომითი უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის, ასევე კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნების საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, განგრძობადად მიმდინარეობს კრიტიკული მოსაზრებების გამო თანამშრომელთა დევნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად სახალხო დამცველმა აჭარის

<sup>35</sup> იხ. სქოლიო 8

ტელევიზიის ყოფილი და მოქმედი არაერთი თანამშრომლის უფლებების დარღვევა დაადგინა. 2020 წლის 10 ივნისს კი სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოში აჭარის ტელევიზიის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებთან დაკავშირებით, რომლის ცალკეულმა დებულებებმა მაუწყებელში დასაქმებულ პირთა გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვის შესაძლებლობა შექმნა.<sup>36</sup> ჯერ კიდევ 2020 წლის თანასწორობის სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ *ქურნალისტების მიმართ მასობრივი უფლებადარღვევის და განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები მოჰყვა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ 2019 წლის ნოემბერში ახალი დირექტორის დანიშვნას. უფლებადარღვევები გამოიხატა მრავალი სახით, მათ შორის, ადგილი ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლებას, სატელევიზიო საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვას, შესასრულებელი სამუშაოს სახის და ფუნქციების თვითნებურ ცვლილებას, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.*<sup>37</sup>

საგულისხმოა ისიც, რომ აჭარის ტელევიზია წარმოადგენს საჯარო დაფინანსებით მოქმედ მაუწყებელს, რომლის მიზანია გავლენებისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი და მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება. თავისი ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა ტელევიზიას არაერთ ვალდებულებას უდგენს, რაც უფრო ზრდის ტელეკომპანიის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნებისა და ამ თვალსაზრისით არსებული შეკითხვების გაქარწყლების აუცილებლობას.

დამატებით, 2022 წლის 25 ივლისს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიმართვა განმცხადებლისადმი დასმულ შეკითხვაზე: *„სახე დაკარგე, ქალის სახე დაკარგე და პირი მოიწმინდე. სააკაშვილივით გაქვს პირი, დაემსგავსე ყველაფერს შენს ბელადს. შენს ბელადს დაემსგავსე ყველაფრით, სირცხვილია. სახე დაკარგე ნაცმოძრაობის გულისთვის, სამარცხვინო. შენ ხარ არახამია, როგორც ის არ არის კაცი, ასევე, შენ არ ხარ ქალი. სახე დაკარგე ნაცმოძრაობის გულისთვის“.*<sup>38</sup> განმცხადებლის განმარტებით, ირაკლი კობახიძის დამოკიდებულება სწორედ მისი მხრიდან დასმულმა კრიტიკულმა შეკითხვებმა გამოიწვია. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განმცხადებელი არ ერიდება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შეკითხვების დასმას და ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებებით არ გამოირჩევა;

### 3. დასკვნა

<sup>36</sup> დამატებით იხ. სქოლიო 8 და სახალხო დამცველის განცხადებები <https://cutt.ly/rN9eBWD>; <https://cutt.ly/mN9r6bg>

<sup>37</sup> იხ. თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის მე-6 სპეციალური ანგარიში <https://cutt.ly/eN9ouiO>

<sup>38</sup> იხ. <https://www.facebook.com/TvMtavari/videos/740728430341051/>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე.<sup>39</sup> ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან. თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.<sup>40</sup>

მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა, დროის პერიოდი, მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სახალხო დამცველს არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ განმცხადებლისათვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა განპირობებული იყო მის მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო. ამდენად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ განსხვავებული მოსაზრების თუ პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით თანამშრომელთა უფლებების დარღვევის მაღალი რისკის გათვალისწინებით, ნ. ჯ.-სთვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი დროში ემთხვევა მის მიერ მომზადებულ კრიტიკულ სიუჟეტებს და თბილისის ბიუროს მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი დაუსაბუთებელია. ამასთან, მაუწყებლის მხრიდან სარწმუნო ინფორმაციის წარმოდგენლობა კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ექვს და, რეალურად, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გაქარწყლებას.

ამასთან, ვინაიდან განმცხადებლის ინტერესს არ წარმოადგენს სამსახურში აღდგენა და, ამ თვალსაზრისით, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, სახალხო დამცველი ამ მიმართულებით მოპასუხის მიმართ რეკომენდაციას არ გასცემს.

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს:

- მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდა ორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3

<sup>40</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1

პატვისცემით,